საქართველოს ორგანული კანონი

პროკურატურის შესახებ
კარი I
უფლებამოსილება, კანონმდებლობა, პრინციპები და ამოცანები

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ეს კანონი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს პროკურატურის სტატუსს და დამოუკიდებლობის გარანტიებს.

2. საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონით.

მუხლი 2. ძირითად ტერმინთა განმარტება

1. პროკურორი – საქართველოს გენერალური პროკურორი (შემდგომ – გენერალური პროკურორი), გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, თბილისის პროკურორი, საოლქო პროკურორი, რაიონული პროკურორი და მათი მოადგილეები, სპეციალიზებული პროკურატურის პროკურორი, უფროსი პროკურორი, პროკურორი, სტაჟიორ-პროკურორი, აგრეთვე პროკურატურის დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილებისა და მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის უფროსები და მათი მოადგილეები, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, ასევე ცალკეულ შემთხვევებში პროკურატურის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ არ ასრულებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მაგრამ გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს პროკურორის უფლებამოსილება.

1^1. ევროჯასტში მეკავშირე პროკურორი (შემდგომ – მეკავშირე პროკურორი) – საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ევროჯასტში მივლინებული პროკურორი, რომელსაც ნიშნავს გენერალური პროკურორი და რომლის უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი განისაზღვრება „საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ 2019 წლის 29 მარტის შეთანხმებით, ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

1^2. მეკავშირე პროკურორის დამხმარე (შემდგომ – დამხმარე) – გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ევროჯასტში მივლინებული პროკურორი, რომელიც დახმარებას უწევს მეკავშირე პროკურორს და რომლის უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი განისაზღვრება „საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ 2019 წლის 29 მარტის შეთანხმებით, ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

1^3. ევროჯასტთან საქართველოს პროკურატურის საკონტაქტო პირი – გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული პირი, რომლის ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება „საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ 2019 წლის 29 მარტის შეთანხმებით.

1[4]. ტერორიზმის საკითხებზე საქართველოს ეროვნული კორესპონდენტი – გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული ევროჯასტთან საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელია ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე კორესპონდენციის წარმოებისთვის.

2. პროკურატურის გამომძიებელი – განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, გამომძიებელი, სტაჟიორ-გამომძიებელი.

3. პროკურატურის თანამშრომელი – პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი, პროკურატურის პროფესიული საჯარო მოხელე, პროკურატურის სტაჟიორი, პროკურატურაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

4. პროკურატურის სტაჟიორი – საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში, თბილისის, საოლქო, რაიონულ და სპეციალიზებულ პროკურატურებში სტაჟიორის თანამდებობაზე ან სტრუქტურული დანაყოფის პროკურორის, გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე გენერალური პროკურორის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სტაჟიორად დანიშნული უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა.

5. პროკურატურის პრაქტიკანტი – გენერალურ პროკურატურაში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში, თბილისის, საოლქო, რაიონულ და სპეციალიზებულ პროკურატურებში გენერალური პროკურორის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად პრაქტიკანტად მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი ან უმაღლესი იურიდიული განათლების მიმღები სტუდენტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

6. პროკურატურის პროფესიული საჯარო მოხელე – პროკურატურის მრჩეველი, კანცელარიის უფროსი, პროკურატურის სპეციალისტი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, იმ სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელი პირები და მათი მოადგილეები, რომლებიც არ არიან პროკურორები და ინიშნებიან პროკურატურის სისტემაში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, რომელთა ფუნქციაა საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელება.

7. პროკურატურაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელსაც პროკურატურაში საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს პროკურატურის დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება.

საქართველოს 2019 წლის 2 ოქტომბრის ორგანული კანონი №5077 – ვებგვერდი, 07.10.2019წ.

მუხლი 3. პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები.

თავი II

ამოცანები, პრინციპები და უფლებამოსილება

მუხლი 4. პროკურატურის ამოცანები

1. პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

ა) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას;

დ) ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ექცევა საპროკურორო უფლებამოსილების ფარგლებში;

ე) რეაგირებას ახდენს თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ასრულებს საპროცესო მოვალეობებს იმ დაწესებულებებში, რომლებიც სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს აღასრულებენ;

ვ) სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;

ზ) სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331^1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში;

თ) ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

ი) კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას.

2. აკრძალულია პროკურატურისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 5. პროკურატურის საქმიანობის პრინციპები

პროკურატურის საქმიანობის პრინციპებია:

ა) კანონიერება და სამართლიანობა;

ბ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

გ) პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;

დ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა თანამშრომლის გენერალური პროკურორისადმი დაქვემდებარება;

ე) პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ღირსების ხელშეუხებლობა;

ვ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

მუხლი 6. პროკურატურის სტატუსი და დამოუკიდებლობა

1. საქართველოს პროკურატურა არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.

2. დაუშვებელია პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით.

3. პროკურატურას უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით დადოს ხელშეკრულება, შეიძინოს ქონება, ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ, შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 7. ქვემდებარეობა და სამოქმედო ტერიტორია

სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის წესს, პროკურატურის ორგანოების და სტრუქტურული დანაყოფების სამოქმედო ტერიტორიებს განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

კარი II

პროკურატურის სისტემა, მართვა, დაქვემდებარება

თავი III

პროკურატურის სტრუქტურული მოწყობა და მართვა

მუხლი 8. პროკურატურის სისტემა

1. პროკურატურის სისტემას ქმნიან:

ა) საქართველოს გენერალური პროკურატურა (შემდგომ – გენერალური პროკურატურა);

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები;

გ) თბილისის პროკურატურა;

დ) საოლქო პროკურატურები;

ე) რაიონული პროკურატურები;

ვ) სპეციალიზებული პროკურატურები – ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. საგანგებო პროკურატურის ან სპეციალური პროკურატურის შექმნა აკრძალულია.

3. პროკურატურის საშტატო ერთეულებსა და მათ რაოდენობას განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

4. საშტატო ერთეულის ცვლილების ან პროკურატურის ერთი ორგანოდან/სტრუქტურული დანაყოფიდან პროკურატურის სხვა ორგანოში/სტრუქტურულ დანაყოფში საშტატო ერთეულის გადატანის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 9. დაქვემდებარება და უფლებამოსილების დელეგირება

1. ყველა პროკურორი და პროკურატურის სხვა თანამშრომელი ექვემდებარება გენერალურ პროკურორს.

2. ზემდგომი პროკურორისადმი ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარება გულისხმობს:

ა) ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორისათვის პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მიცემულ მითითებათა შესრულების სავალდებულოობას;

ბ) ქვემდგომი პროკურორის პასუხისმგებლობას ზემდგომი პროკურორის წინაშე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

გ) ზემდგომი პროკურორის მიერ აუცილებლობის შემთხვევაში ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილებათა განხორციელებას ან ქვემდგომი პროკურორისათვის თავისი ცალკეული უფლებამოსილების განხორციელების დაკისრებას;

დ) ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებისა და აქტის გაუქმებას,

მათში ცვლილების შეტანას, მათი სხვა გადაწყვეტილებით ან აქტით შეცვლას;

ე) ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებასა და აქტზე საჩივრის განხილვას;

ვ) ქვემდგომი პროკურორის მიერ ზემდგომი პროკურორისათვის თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშის, ინფორმაციის, საქმისა და მასალის წარდგენას.

3. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია განსაზღვროს ზემდგომი პროკურორისადმი ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარების სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ამ კანონს.

4. ქვემდგომი პროკურორი და პროკურატურის სხვა თანამშრომელი ვალდებული არიან შეასრულონ ზემდგომი პროკურორის ყველა კანონიერი მოთხოვნა და მითითება.

5. პროკურატურის ორგანოების სტრუქტურა და უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 10. გენერალური პროკურატურა

1. გენერალური პროკურატურა არის პროკურატურის ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

2. გენერალურ პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

3. გენერალური პროკურორის არყოფნის ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, ხოლო გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის არყოფნის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში – გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე.

4. გენერალური პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფებია დეპარტამენტები და სამმართველოები, რომლებსაც ჰყავთ უფროსები და შეიძლება ჰყავდეთ მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორები, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლები, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები, პროკურატურის პროფესიული საჯარო მოხელეები, სტაჟიორები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

5. დეპარტამენტის და სამმართველოს თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები არის პროკურატურის ორგანოები (შემდგომ – ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები), რომლებსაც ხელმძღვანელობენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები.

2. ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

3. ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

4. ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

5. ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების სამოქმედო ტერიტორიას განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

6. ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ჰყავთ უფროსები და შეიძლება ჰყავდეთ სტრუქტურული დანაყოფების უფროსების მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორები, უფროსი გამომძიებლები, გამომძიებლები, პროკურატურის პროფესიული საჯარო მოხელეები, სტაჟიორები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

7. ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა დაქვემდებარებული პროკურატურების თანამშრომლებისათვის.

8. ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები უფლებამოსილი არიან, ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის დაცვით, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღონ საქმე და გამოსაძიებლად გადასცენ სხვა საგამოძიებო ორგანოს გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული წესითა და განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 12. თბილისის პროკურატურა და საოლქო პროკურატურები

1. თბილისის პროკურატურა და საოლქო პროკურატურები არის პროკურატურის ორგანოები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ თბილისის პროკურორი და საოლქო პროკურორები.

2. თბილისის პროკურორსა და საოლქო პროკურორებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

3. თბილისის პროკურორსა და საოლქო პროკურორებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

4. თბილისის პროკურატურასა და საოლქო პროკურატურებში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ჰყავთ უფროსები და შეიძლება ჰყავდეთ სტრუქტურული დანაყოფების უფროსების მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორები, უფროსი გამომძიებლები, გამომძიებლები, პროკურატურის პროფესიული საჯარო მოხელეები, სტაჟიორები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

5. თბილისის პროკურატურისა და საოლქო პროკურატურების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

6. თბილისის პროკურორი და საოლქო პროკურორები კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა დაქვემდებარებული პროკურატურების თანამშრომლებისათვის.

7. თბილისის პროკურატურისა და საოლქო პროკურატურის სამოქმედო ტერიტორიას განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

მუხლი 13. რაიონული პროკურატურები

1. რაიონული პროკურატურები არის პროკურატურის ორგანოები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ რაიონული პროკურორები.

2. რაიონულ პროკურორებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

3. რაიონულ პროკურორებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

4. რაიონული პროკურატურის თანამშრომლებს: უფროს პროკურორებს, პროკურორებს, პროკურატურის პროფესიულ საჯარო მოხელეებს, სტაჟიორებს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური

პროკურორი.

5. რაიონული პროკურორები კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა დაქვემდებარებული პროკურატურის თანამშრომლებისათვის.

6. რაიონული პროკურატურების სამოქმედო ტერიტორიებს განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

მუხლი 14. სპეციალიზებული პროკურატურა

საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში გენერალურ პროკურორს შეუძლია დროებით შექმნას სპეციალიზებული პროკურატურა და განსაზღვროს მისი საქმიანობის მიმართულებები და ფუნქციონირების ვადა.

თავი IV

გენერალური პროკურორი

მუხლი 15. გენერალური პროკურორი

1. საქართველოს პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

2. გენერალური პროკურორი:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს, აწინაურებს, ათავისუფლებს და პროკურატურიდან ითხოვს პროკურატურის თანამშრომლებს;

ბ) განსაზღვრავს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილისა და მოადგილის უფლებამოსილებებს;

გ) გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) ახდენს ცალკეულ უფლებამოსილებათა დელეგირებას;

ე) ქმნის და აუქმებს პროკურატურის ორგანოებს, მის სტრუქტურულ დანაყოფებს, განსაზღვრავს მათ სამოქმედო ტერიტორიას, საშტატო ნუსხასა და უფლებამოსილებებს;

ვ) პასუხისმგებელია პროკურატურის საქმიანობაზე;

ზ) საქართველოს ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოების სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობებში წარმოადგენს პროკურატურას და საჭიროების შემთხვევაში ანიჭებს პროკურატურის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას;

თ) სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს და ამტკიცებს მის სახელმძღვანელო პრინციპებს;

ი) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის სხვა წევრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, სახელმწიფო ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო წოდების ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის, პროკურორის,

პროკურატურის გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის ან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მიერ დანაშაულის ჩადენისას;

კ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ატარებს სხვა საპროცესო მოქმედებებს;

ლ) განიხილავს საჩივრებსა და განცხადებებს;

მ) განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას;

ნ) აუქმებს ქვემდგომი პროკურორების მიერ გამოცემულ კანონსაწინააღმდეგო აქტებს;

ო) ნიშნავს სპეციალურად უფლებამოსილ პროკურორს, რომელსაც სასამართლოში შეაქვს განცხადება ორგანიზაციის ტერორისტულ ორგანიზაციად ცნობის შესახებ;

პ) მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილების შესახებ დავის თაობაზე;

ჟ) იწვევს და თავმჯდომარეობს საქართველოს პროკურორთა კონფერენციას;

რ) პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ქმნის სათათბირო ორგანოებს, განსაზღვრავს მათი საქმიანობის წესს;

ს) ამტკიცებს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსს და წყვეტს პროკურატურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხს, გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისისა;

ტ) განსაზღვრავს პროკურატურის თანამშრომლებისათვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების წესს, ანიჭებს და ჩამოართმევს სახელმწიფო სპეციალურ წოდებებს, აგრეთვე წარადგენს მათ საპატიო წოდებებისა და საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების მისანიჭებლად;

უ) გამოყოფილი შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში განსაზღვრავს საშტატო ნუსხას, საშტატო ერთეულების რაოდენობას და პროკურატურის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობას;

ფ) აჯილდოებს პროკურატურის თანამშრომლებს;

ქ) შეიმუშავებს წინადადებებს პროკურატურის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ და მათ საქართველოს მთავრობას წარუდგენს;

ღ) ამტკიცებს პროკურატურის საქმიანობის სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას;

ყ) უზრუნველყოფს სტატისტიკურ ანგარიშგებას, ორგანიზებას უწევს საპროკურორო და საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადებას, ხელს უწყობს კრიმინოლოგიური კვლევების ჩატარებას და მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების ადაპტირებისა და დანერგვის პროცესს;

შ) ამტკიცებს პროკურატურის თანამშრომელთა მიღების, კონკურსის, შიდა კონკურსის, დაწინაურების, დაქვეითების, თანამდებობრივი გადაადგილების (როტაციის), რეორგანიზაციის, შტატების შემცირების, რანგირების წესებსა და პროკურორთა/პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემას;

ჩ) ამტკიცებს საკონკურსო მოთხოვნებს, განსაზღვრავს მისი ჩატარების წესს;

ც) განსაზღვრავს სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის წესს;

ძ) განსაზღვრავს პროკურატურის საინფორმაციო პოლიტიკას;

წ) განსაზღვრავს ინფორმაციული უსაფრთხოების შესაბამის ზომებს და ელექტრონული სისტემების

წარმოების წესს;

ჭ) უზრუნველყოფს საპროკურორო საბჭოსთვის და საქართველოს პარლამენტისთვის პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას უშუალოდ, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – გენერალური პროკურორის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის მეშვეობით;

ხ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

4. გენერალური პროკურორის საქმიანობაში უკანონო ჩარევა დაუშვებელია.

5. სახელმწიფო ვალდებულია გენერალური პროკურორის პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების დასაცავად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 16. გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გამწესების კრიტერიუმები და წესი

1. გენერალურ პროკურორად შეიძლება არჩეულ იქნეს ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ზნეობისა და პროფესიული თვისებების გამო სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით და რომელსაც აქვს სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ მოსამართლედ ან პროკურორად ან სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ან აქვს იურისტის პროფესიით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და იმავდროულად არის სისხლის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი უმაღლესი აკადემიური წრეებიდან ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან.

2. გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადაა 6 წელი. ერთი და იგივე პირი გენერალურ პროკურორად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

3. გენერალურ პროკურორს თანამდებობაზე ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

4. გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ გენერალური პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად საპროკურორო საბჭო იწყებს ერთთვიან კონსულტაციებს აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან. კონსულტაციების შედეგად საპროკურორო საბჭო შეარჩევს გენერალური პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის უნდა იყოს.

5. გენერალური პროკურორობის კანდიდატებს საპროკურორო საბჭოს სხდომაზე ცალ-ცალკე ეყრებათ კენჭი. კენჭისყრა ფარულია. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. თუ ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო, გადამწყვეტია საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის ხმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ ამჯერადაც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა, საპროკურორო საბჭო 1 კვირის ვადაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით შეარჩევს სხვა კანდიდატებს.

6. საპროკურორო საბჭო შერჩეულ კანდიდატს შესაბამისი დასაბუთებით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. თუ წარდგენილმა კანდიდატმა ვერ მიიღო საქართველოს პარლამენტის წევრთა ხმათა საჭირო რაოდენობა, საპროკურორო საბჭო ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით შეარჩევს სხვა კანდიდატურებს.

მუხლი 17. გენერალური პროკურორის ვადამდე გათავისუფლების და უფლებამოსილების შეწყვეტის

წესი

1. გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული იმპიჩმენტის წესით.

2. გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის სხვა საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გენერალური პროკურორის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;

გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

დ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

ე) გარდაცვალება.

მუხლი 18. გენერალური პროკურორის აქტები

გენერალური პროკურორი უფლებამოსილია გამოსცეს ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – ბრძანებები.

საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის ორგანული კანონი №4257 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.

თავი V

სათათბირო და კოლეგიური ორგანოები

მუხლი 19. საპროკურორო საბჭო

1. პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანო – საპროკურორო საბჭო.

2. საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისაგან:

ა) 8 წევრი, რომელთაც ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით და რომელთა მინიმუმ ერთი მეოთხედი მაინც განსხვავებულ სქესს უნდა წარმოადგენდეს;

ბ) 2 წევრი, რომელთაც ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოების იმ მოსამართლეთაგან, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

გ) 2 წევრი საქართველოს პარლამენტიდან, რომელთაგან ერთს თავის წევრთაგან ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობა, ხოლო მეორეს იმ პარლამენტის წევრთაგან, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან, ირჩევენ საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ მყოფი პარლამენტის წევრები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. თუ საპარლამენტო უმრავლესობა შექმნილი არ არის, საპროკურორო საბჭოს ორივე წევრს პარლამენტის წევრთაგან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს პარლამენტი;

დ) 1 წევრი, რომელსაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატად შეირჩევა პირი,

რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

ე) 2 წევრი, რომელთაც ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევისათვის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით და დადგენილი წესით.

3. საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი და აღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე უწყდება საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

4. ერთი და იგივე პირი საპროკურორო საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

5. საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს თავის წევრთაგან, 2 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საპროკურორო საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. კანდიდატების მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში კენჭისყრა გრძელდება უფრო მეტი ხმის მქონე კანდიდატის გამოვლენამდე.

6. საპროკურორო საბჭოს წევრები მოქმედებენ პირადი პასუხისმგებლობით და ანგარიშვალდებული არ არიან მათი ამრჩევი ორგანოს წინაშე. აკრძალულია მათზე ზეგავლენის მოხდენა.

7. თუ საპროკურორო საბჭოს პროკურორმა/პროკურატურის გამომძიებელმა წევრმა დაიკავა ამ კანონის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე თანამდებობა, მას ვადამდე შეუწყდება საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილება, ხოლო თუ საპროკურორო საბჭოს წევრობის ვადის გასვლამდე შეუწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილება და არ არსებობს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძველი, საბჭოს წევრი სტატუსს ინარჩუნებს ვადის გასვლამდე და მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით.

8. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საპროკურორო საბჭოს წევრებს ვადის გასვლამდე შეუწყდათ სამსახურებრივი უფლებამოსილება და არ არსებობს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძველი, ისინი საპროკურორო საბჭოს წევრის სტატუსს ინარჩუნებენ ვადის გასვლამდე და მოქმედებენ პირადი პასუხისმგებლობით.

9. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობის დაკავება;

ე) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

ვ) გარდაცვალება.

10. საპროკურორო საბჭოს ახალი წევრი უნდა აირჩეს ჩასანაცვლებელი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 2 თვისა. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ საბჭოს ახალი წევრის არჩევისას ეს ვადები მთლიანად ან ნაწილობრივ დაემთხვა საქართველოს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდს, მისი არჩევის პროცესი დაიწყება ან გაგრძელდება მორიგი

სესიის დაწყებისთანავე ან მორიგი სესიის დაწყებამდე, რიგგარეშე სესიაზე.

11. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საპროკურორო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, რომელსაც აქვს იურისტად მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, პროკურორად ან პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

12. საპროკურორო საბჭოს წევრის საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი.

13. საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში გენერალური პროკურორის კანდიდატურის დამტკიცება;

ბ) გენერალური პროკურორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება;

გ) საპროკურორო საბჭოს იმ წევრის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, სახდელის ვადამდე მოხსნის საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით აირჩია საქართველოს პროკურორთა კონფერენციამ;

დ) 6 თვეში ერთხელ, ხოლო საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით – დაუყოვნებლივ, პროკურატურის საქმიანობის შესახებ გენერალური პროკურორის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ანგარიშის მოსმენა, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს და არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლოში მის განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს;

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება და გენერალური პროკურორისათვის წარდგენა;

ვ) სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის, პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელის შემწყობი რეკომენდაციების შემუშავება და გენერალური პროკურორისათვის წარდგენა;

ზ) საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

14. საპროკურორო საბჭო არ ერევა პროკურატურის თანამშრომელთა საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

15. საპროკურორო საბჭო იკრიბება 6 თვეში ერთხელ, ან საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. საპროკურორო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

16. თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

17. გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ან მოადგილის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საპროკურორო საბჭო იღებს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას.

18. საპროკურორო საბჭოს მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, მოადგილე, პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრები უფლებამოსილი არიან საპროკურორო საბჭოს წინაშე წარდგნენ ახსნა-განმარტებით და წარადგინონ თავისი პოზიციის დამადასტურებელი ინფორმაცია.

19. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას საპროკურორო საბჭო იღებს ფარული კენჭისყრით, წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.

20. საპროკურორო საბჭო გადაწყვეტილებას გამოსცემს განკარგულების სახით.

21. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს საპროკურორო საბჭოს სხდომას.

22. საპროკურორო საბჭოს აქვს თავისი ვებგვერდი.

23. საპროკურორო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს გენერალური პროკურატურა.

24. საპროკურორო საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც საპროკურორო საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს საპროკურორო საბჭო.

მუხლი 20. პროკურორთა კონფერენცია

1. საქართველოს პროკურორთა კონფერენცია (შემდგომ – კონფერენცია) არის პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კრება, რომლის უფლებამოსილებაა საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევა.

2. კონფერენციის უფლებამოსილება რეგულირდება ამ კანონითა და რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს კონფერენცია.

3. კონფერენციის თავმჯდომარეა გენერალური პროკურორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე.

4. კონფერენციას ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად იწვევს კონფერენციის თავმჯდომარე.

5. კონფერენცია საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა ნახევარზე მეტი.

6. კონფერენცია გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

7. კონფერენციის დაწყებამდე თავმჯდომარესთან რეგისტრირდებიან არანაკლებ 30 წევრისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფები. საინიციატივო ჯგუფების თითო წარმომადგენელი კონფერენციის თავმჯდომარესთან ერთად ქმნის ადმინისტრაციულ კომიტეტს, რომელიც სხვა საორგანიზაციო ფუნქციებთან ერთად ასრულებს საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას. პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს უფლება აქვს, იყოს მხოლოდ ერთი საინიციატივო ჯგუფის წევრი. საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, წარადგინოს საბჭოს წევრობის არაუმეტეს 2 კანდიდატი.

8. საბჭოს წევრობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, გენერალური პროკურორის მოადგილე, გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, თბილისის პროკურორი ან საოლქო პროკურორი.

9. კონფერენცია საბჭოს წევრებს ირჩევს შემდეგი კვოტების მიხედვით:

ა) 3 წევრი – გენერალური პროკურატურის წარმომადგენელთაგან;

ბ) 1 წევრი – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების წარმომადგენელთაგან;

გ) 3 წევრი – აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული (კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის) საოლქო პროკურატურების, თბილისის პროკურატურის და რაიონული პროკურატურების წარმომადგენელთაგან;

დ) 1 წევრი – დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული (დასავლეთ საქართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის) საოლქო და რაიონული პროკურატურების წარმომადგენელთაგან.

10. ადმინისტრაციული კომიტეტი წილისყრით განსაზღვრავს კვოტების მიხედვით დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობებზე წევრთა არჩევის რიგითობას, რის შემდეგაც ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი კვოტების შესაბამისად საბჭოს წევრის ყოველ ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭისყრა ტარდება რიგითობის მიხედვით. თუ პირველ ექვს ვაკანტურ თანამდებობაზე წევრების არჩევის შემდეგ საბჭოს ექვსივე წევრი ერთი სქესის წარმომადგენელია, დარჩენილ ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

11. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კონფერენციის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას.

12. თუ კანდიდატებმა ვერ მიიღეს თანამდებობაზე ასარჩევად საჭირო ხმების რაოდენობა, არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება ამ ვაკანტურ თანამდებობაზე საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ ამჯერადაც კანდიდატები ვერ მიიღებენ ხმების საჭირო რაოდენობას, კანდიდატების წარდგენისა და კენჭისყრის პროცედურა მეორდება.

13. ორი ან მეტი კანდიდატის მიერ ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში თანაბარი ხმების მიმღებ კანდიდატებს განმეორებით ეყრებათ კენჭი.

14. საბჭოს წევრების არჩევასთან დაკავშირებულ, ამ კანონით დაურეგულირებელ საკითხებს განსაზღვრავს კონფერენციის რეგლამენტი.

მუხლი 21. სათათბირო ორგანოები

1. პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით იქმნება გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები – კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო და სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო, რომელთაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

2. კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსში, პროკურორთა/პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემაში ცვლილებების თაობაზე წინადადებების შემუშავება და რეკომენდაციის გაცემა და შემფასებელთა შესაბამისობის საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა;

ბ) გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად დისციპლინური გადაცდომის (გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისებისა), წახალისებისა და დაწინაურების საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა;

გ) საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

3. პროკურატურის თანამშრომელს უფლება აქვს, ახსნა-განმარტების მისაცემად დაესწროს კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს სხდომას.

4. სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის სისტემის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და განვითარების გეგმის სრულყოფის, პროგრამებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრისა და სრულყოფის, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა.

5. მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოები შედგება ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისა და პროკურატურის შესაბამისი უფლებამოსილების განმახორციელებელი სხვა თანამშრომლებისაგან.

6. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას სხვა სათათბირო საბჭოები იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც არ შედის მუდმივმოქმედი საბჭოების უფლებამოსილებაში და ხელს უწყობს პროკურატურის ამოცანების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას.

7. სათათბირო ორგანოების გადაწყვეტილება, როგორც წესი, სარეკომენდაციო ხასიათისაა და გენერალური პროკურორისთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის.

8. სათათბირო ორგანოების საქმიანობის წესს და შემადგენლობას (გარდა ამ მუხლით პირდაპირ განსაზღვრული გამონაკლისებისა) განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

კარი III

პროკურატურის საქმიანობის მიმართულებები, პერსონალი და უფლებამოსილება

თავი VI

პროკურატურის საქმიანობის მიმართულებები

მუხლი 22. სისხლისსამართლებრივი დევნა

1. სისხლისსამართლებრივ დევნას პროკურატურა ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში.

2. პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

მუხლი 23. გამოძიება და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას და შეუძლია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.

მუხლი 24. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

1. პროკურორი სახელმწიფო ბრალმდებელია და თავის უფლებამოსილებას სახელმწიფოს სახელით ახორციელებს. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი.

2. პროკურორს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით, უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე ან არსებული ბრალდება უფრო მსუბუქი ბრალდებით შეცვალოს. ბრალდებაზე პროკურორის უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

3. პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

4. სამივე ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისას პროკურორი სარგებლობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა

უფლებამოსილებით.

მუხლი 25. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობა

1. პროკურორი ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ განხორციელებული იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას, რომლებიც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით საპროკურორო უფლებამოსილების ფარგლებში ექცევა.

2. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელიც არ საჭიროებს პროკურორის თანხმობას, არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი.

3. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების, გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ მოსამართლის მიერ გაცემული განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი.

4. მონაცემები იმ პირზე, რომელიც უწევს ან უწევდა კონფიდენციალურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს, თანამშრომლობს ან თანამშრომლობდა მასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის მოპოვების ტაქტიკა, ორგანიზება, ოპერატიული დამუშავების საქმე და ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო ნაწილი არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი.

5. ოპერატიული დამუშავების საქმის, ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო მასალების გაცნობის უფლება აქვთ: გენერალურ პროკურორს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, გენერალური პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების უფროსებს და მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს და მათ მოადგილეებს, საოლქო პროკურორებს და მათ მოადგილეებს, თბილისის პროკურორს და მის მოადგილეებს და რაიონულ პროკურორებს საკუთარი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, აგრეთვე გენერალური პროკურორის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, საოლქო პროკურორების, თბილისის პროკურორისა და რაიონული პროკურორების მიერ განსაზღვრულ სხვა პროკურორებს.

მუხლი 26. თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დაცვა

1. პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს უფლება აქვს, დაუბრკოლებლად შევიდეს თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა განთავსების დაწესებულებებში, ნებისმიერ დროს:

ა) ჩაატაროს შემოწმება თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა განთავსების იმ დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს;

ბ) გამოკითხოს დაკავებული, დაპატიმრებული, მსჯავრდებული და პირები, რომლებსაც შეფარდებული აქვთ იძულებითი ღონისძიებები;

გ) გაეცნოს დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზე პირს აღკვეთილი ან შეზღუდული აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება;

დ) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა იძულებითი ღონისძიებებისადმი დაქვემდებარებული პირის გასათავისუფლებლად.

2. პროკურორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 27. პროკურორის სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წარმოებაში

1. პროკურორი უფლებამოსილია აღძრას სარჩელი რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების

გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პროკურორი უფლებამოსილია აღძრას სარჩელი რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 28. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია, სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაულის პრევენცია

1. პროკურატურა კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთისა და თავიდან აცილების, დანაშაულის პრევენციის, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების, დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.

2. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. პროკურატურა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პრიორიტეტულობის, სამართლებრივი დაცვის კონსტიტუციური გარანტიების განმტკიცების და დანაშაულის გავრცელების მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს მის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებსაც ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 29. სტრატეგიული განვითარების მხარდაჭერა

1. პროკურატურის სისტემის განვითარებისათვის გენერალური პროკურორი ყოველი მომდევნო 6 წლისათვის ამტკიცებს პროკურატურის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

2. პროკურატურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესასრულებლად შესაძლოა შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობს პროკურატურა.

თავი VII

საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 30. საერთაშორისო თანამშრომლობა

1. პროკურატურა უფლებამოსილია ითანამშრომლოს უცხო სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან უწყების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლობის განხორციელების უზრუნველსაყოფად პროკურატურა უფლებამოსილია, კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან გააფორმოს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება.

3. პროკურატურა უზრუნველყოფს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურატურა უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელება დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით პირის მიმართ ინტერპოლის არხებით საერთაშორისო ძებნის გამოცხადებასთან დაკავშირებით;

ბ) საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობით მიმართოს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს და უზრუნველყოს მათი შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე შესრულება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შუამდგომლობით მიმართოს უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის ექსტრადიციის მიზნით დაკავების ან/და ექსტრადიციის ან დროებითი გადმოცემის შესახებ, ხოლო უცხო სახელმწიფოს მიერ ძებნილი პირის საქართველოს ტერიტორიაზე დადგენის/დაკავების შემთხვევაში უზრუნველყოს დასაშვებობის სტადიაზე საექსტრადიციო პროცედურებში მონაწილეობის მიღება;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პირის მიმართ შემდგომი სამართალწარმოების მიზნით სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაგზავნა ან უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ინიციირებული მსგავსი თხოვნების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულება;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით ითანამშრომლოს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან ქონების ჩამორთმევასთან და მის შემდგომ განაწილებასთან (გაყოფასთან) დაკავშირებით.

5. შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლობის განსახორციელებლად გენერალური პროკურორი უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან გააფორმოს ინდივიდუალური შეთანხმება.

6. პირის დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში გენერალური პროკურორი წინასწარ კონსულტაციებს გადის იუსტიციის მინისტრთან.

მუხლი 30[1]. მეკავშირე პროკურორი და დამხმარე

1. ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს მეკავშირე პროკურორის ან დამხმარის მეშვეობით, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის შესახებ“ 2019 წლის 29 მარტის შეთანხმებით, ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2. მეკავშირე პროკურორად და დამხმარედ გენერალური პროკურორი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ნიშნავს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს.

3. მეკავშირე პროკურორი და დამხმარე შედიან საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის შემადგენლობაში და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენენ საქართველოს.

4. მეკავშირე პროკურორი და დამხმარე იმყოფებიან გენერალური პროკურორის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

5. მეკავშირე პროკურორისა და დამხმარის უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი, სამუშაო მივლინების ხანგრძლივობა და გამოწვევის წესი განისაზღვრება გენერალური პროკურორის ბრძანებით.

6. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში

როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილ მეკავშირე პროკურორს ან დამხმარეს როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით 1 წლამდე გაუგრძელოს.

7. მეკავშირე პროკურორისა და დამხმარის მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს პროკურატურა. მეკავშირე პროკურორისა და დამხმარის თანამდებობრივი სარგოები და მათი სამუშაო მივლინებების ხარჯები განისაზღვრება გენერალური პროკურორის ბრძანებით.

8. მეკავშირე პროკურორის, დამხმარისა და მათი ოჯახის წევრების პირველადი საყოფაცხოვრებო მოწყობის მიზნით ანაზღაურებადი ერთჯერადი თანხა, მისი მიზნობრიობა და ოდენობა, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თავისებურებათა გათვალისწინებით, განისაზღვრება გენერალური პროკურორის ბრძანებით.

9. მეკავშირე პროკურორის, დამხმარის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში საქართველოს პროკურატურა დაფარავს ყველა ხარჯს, მათ შორის, გარდაცვლილის საქართველოში გადმოსვენების ხარჯებს.

10. მეკავშირე პროკურორისა და დამხმარის მიერ სამსახურის გავლისა და მათი გამოწვევის შემთხვევებში გამოიყენება, აგრეთვე მეკავშირე პროკურორზე, დამხმარესა და მათი ოჯახის წევრებზე ვრცელდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიები.

საქართველოს 2019 წლის 2 ოქტომბრის ორგანული კანონი №5077 – ვებგვერდი, 07.10.2019წ.

თავი VIII

წარმომადგენლობა ქვეყნის შიგნით

მუხლი 31. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებთან ურთიერთობა

აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში პროკურატურას წარმოადგენს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 32. ურთიერთობა ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, წარმომადგენლობებთან

1. ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, წარმომადგენლობებთან ურთიერთობაში პროკურატურას წარმოადგენს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2. თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით გენერალური პროკურორი უფლებამოსილია ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, წარმომადგენლობებთან ცალკეულ საკითხებზე გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მუხლი 33. საჯარო ურთიერთობების მდივანი

საჯარო ურთიერთობების მდივანი არის გენერალური პროკურორის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურატურის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სხვა ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და წარმომადგენლობებთან პროკურატურის კოორდინირებულ ურთიერთობას და ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტიან კომუნიკაციას, უზრუნველყოფს წინადადებების მომზადებას საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, კოორდინირებას უწევს და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, ასრულებს გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

თავი IX

პროკურატურის თანამშრომელი

მუხლი 34. თანამდებობის დაკავების წესი და კრიტერიუმები

1. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია კონკურსის ან სტაჟირების გზით, რომელთა წესს განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

2. გენერალური პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, შესაძლებელია კონკურსისა და სტაჟირების გავლის გარეშე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტური თანამდებობის დაკავება, თუ პირი აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ შესაბამის კრიტერიუმებს.

3. პროკურორად ან პროკურატურის გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, ჩაბარებული აქვს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს სტაჟირება პროკურატურის ორგანოებში, დადებული აქვს პროკურატურის თანამშრომლის ფიცი, საქმიანი და მორალური თვისებებით, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მოვალეობები.

4. პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად დასანიშნ პირს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა შემდეგ დისციპლინებში: საკონსტიტუციო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის საპროცესო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სასჯელაღსრულებითი სამართალი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები.

5. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან:

ა) გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები;

ბ) პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის ან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

6. პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლისგან თავისუფლდებიან: გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, აგრეთვე პირი, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

ბ) აქვს იურისტის პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

გ) ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

7. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გზით დასანიშნი პირი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებთან ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

ბ) აქვს იურისტის პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონკურსის გარეშე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი პირი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებთან ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) აქვს გამომძიებლად, მოსამართლედ, სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება;

ბ) აქვს პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება და

პროკურატურის სისტემიდან ბოლო 10 წლის განმავლობაში დათხოვნილია პირადი განცხადების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, შტატების შემცირების ან სხვა სამსახურში გადასვლის გამო;

გ) პროკურატურის სისტემის საკადრო რეზერვში ჩარიცხული პირია;

დ) წარმატებით აქვს გავლილი სტაჟირება პროკურატურის სისტემაში და სტაჟირების გავლიდან არ არის გასული 3 წელი;

ე) სისხლის სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია უმაღლესი აკადემიური წრეებიდან.

9. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გზით ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასანიშნი პირი თავისუფლდება სტაჟირების გავლისგან.

10. პირმა, რომელიც აკმაყოფილებს სტაჟირების გავლისგან გათავისუფლებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, საკუთარი სურვილით შეიძლება გაიაროს სტაჟირება პროკურატურის ორგანოებში.

11. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გზით ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი დანიშვნამდე გადის პროფესიული გადამზადების არაუმეტეს 2-თვიან კურსს, რომლის წარმატებით გავლის შემდგომ ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე.

12. პროკურატურის პროფესიულ საჯარო მოხელეს, ამ კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ხოლო პროკურატურაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთან შრომით ხელშეკრულებას, ამ კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით, დებს ან წყვეტს გენერალური პროკურორი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ დადგენილი წესებით.

მუხლი 35. სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები

პროკურატურის თანამშრომლად არ მიიღება:

ა) ნასამართლევი პირი;

ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;

გ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პირი, რომელიც შემოწმების შედეგად არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 36. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დაწინაურება

1. გენერალური პროკურატურის დეპარტამენტების უფროსებად და მათ მოადგილეებად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებად და მათ მოადგილეებად, თბილისის პროკურორად და მის მოადგილედ, საოლქო პროკურორებად და მათ მოადგილეებად, რაიონულ პროკურორებად პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დაწინაურება შესაძლებელია, თუ პირს აქვს პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. გენერალური პროკურატურის სამმართველოების უფროსებად და მათ მოადგილეებად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, თბილისის და საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსებად და მათ მოადგილეებად, საგამოძიებო ნაწილის უფროსებად და მათ მოადგილეებად, რაიონული პროკურორების მოადგილეებად პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის

დაწინაურება შესაძლებელია, თუ პირს აქვს პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

3. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დაწინაურების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის საქმიანობის შეფასების შედეგები.

4. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დაწინაურების წესს და კრიტერიუმებს ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 37. დათხოვნის საფუძვლები

1. პროკურატურის თანამშრომელი პროკურატურიდან შეიძლება დაითხოვონ:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადების გამო, თუ აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება;

გ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებით დაავადების გამო;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გამო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო;

ვ) სხვა სამსახურში გადასვლის გამო;

ზ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეშად ან სისტემატურად დარღვევის გამო;

თ) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;

ი) ინტერესთა ან თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო;

კ) რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირების გამო;

ლ) პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნების ან სხვა შეუფერებელი საქციელის ჩადენის გამო;

მ) შეფასების შედეგად კომპეტენციის კრიტიკული ზღვრის დაუკმაყოფილებლობის გამო;

ნ) შეფასების შედეგად კომპეტენციის მინიმალური ზღვრის დაუკმაყოფილებლობისას პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შესაბამისობის გამოცდაში მიღებული უარყოფითი შედეგის გამო;

ო) ზედიზედ ორჯერ, შეფასების შედეგად კომპეტენციის მინიმალური ზღვრის დაუკმაყოფილებლობის გამო;

პ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო;

ჟ) დისციპლინური წესით სახდელდადებულის მიერ ახალი გადაცდომის ჩადენის გამო;

რ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო;

ს) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო;

ტ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის გამო;

უ) სამსახურში მიღებისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამო;

ფ) საპენსიო ასაკის გამო;

ქ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ანდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული სხვა საფუძვლების გამო.

2. პროკურატურის თანამშრომელი შეიძლება დათხოვნილ იქნეს პროკურატურიდან შესაბამისი სამედიცინო დასკვნით დადასტურებული ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო სამსახურში ზედიზედ 4 თვის ან კალენდარული წლის განმავლობაში 6 თვით გამოუცხადებლობის შემთხვევაში და არსებობს შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც, იგი მომავალშიც ვერ შეძლებს უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 38. სხვა თანამდებობაზე გადაყვანა

1. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, მისი მოთხოვნის ან თანხმობის საფუძველზე, შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა თანამდებობაზე.

2. უფრო დაბალ თანამდებობაზე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის გადაყვანა, მისი თანხმობის არსებობის მიუხედავად, დასაშვებია, თუ:

ა) შეუძლებელია გადაყვანა მისი რანგისა და პოზიციის შესაბამის თანამდებობაზე;

ბ) დაქვეითება გათვალისწინებულია დისციპლინური სახდელის სახედ;

გ) შეფასების შედეგებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს მისი თანამდებობისთვის საჭირო კომპეტენციის ზღვარს;

დ) არსებობს ამ კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 39. გათავისუფლება რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირებისას

1. რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირების შემთხვევაში პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და შესაძლოა შეეთავაზოს გადაყვანა პროკურატურის სისტემის სხვა სტრუქტურულ დანაყოფში შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის ან შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში იგი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და მისივე წერილობითი თანხმობით ირიცხება საკადრო რეზერვში.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკადრო რეზერვში მყოფ პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს თანამდებობრივი სარგოს მიღების უფლებამოსილება უნარჩუნდება საკადრო რეზერვში ჩარიცხვიდან 3 თვის განმავლობაში, თუ ამ ვადაში არ დაუკავებია პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა ამგვარ საქმიანობას. საკადრო რეზერვში მყოფი პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, მისივე წერილობითი თანხმობით, შეიძლება დაინიშნოს პროკურატურის სისტემაში.

4. საკადრო რეზერვში ჩარიცხვიდან 3 თვის გასვლის შემდგომ, ჩარიცხული პირი ანაზღაურების გარეშე ირიცხება საკადრო რეზერვში მომდევნო 9 თვის განმავლობაში, პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობის ან საქმიანობის დაკავებამდე ან პირადი განცხადების საფუძველზე მის ამორიცხვამდე.

მუხლი 40. უფლებამოსილების შეჩერების საფუძვლები

1. პროკურატურის თანამშრომლის უფლებამოსილების შეჩერების საფუძვლებია:

ა) შვებულება;

ბ) დროებითი შრომისუუნარობა, რაც დასტურდება შესაბამისი საავადმყოფო ფურცლით;

გ) დაკავება ან ადმინისტრაციული პატიმრობა;

დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ე) კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2. პროკურატურის თანამშრომელს უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო. პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს ასევე უნარჩუნდება წოდებისათვის დადგენილი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი.

მუხლი 41. გასაჩივრების წესი

პროკურატურის თანამშრომელს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უფლება აქვს, თანამდებობაზე დანიშვნასთან, დაქვეითებასთან, დათხოვნასთან და უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით ერთი თვის ვადაში მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 42. პროკურორთა სპეციალიზაცია

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს შეიძლება მიენიჭოს სპეციალიზაცია, რომლის მინიჭების პროცედურას განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

თავი X

კანდიდატის შემოწმება

მუხლი 43. კანდიდატის შემოწმება

1. პროკურატურის თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი პირი ექვემდებარება შემოწმებას, რომლის წესს ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

2. შემოწმებას ექვემდებარება პირის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) ნასამართლობა და მიმდინარე ადმინისტრაციული სახდელი;

ბ) შემოსავალთან და ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

გ) სამეწარმეო და არასამეწარმეო სამართლის სუბიექტებში წილთა ფლობასთან და განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, განათლებასთან, სამუშაო გამოცდილებასთან, აკადემიურ ხარისხთან, სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

3. შემოწმება ტარდება კანდიდატის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. თუ იგი უარს აცხადებს თანხმობაზე, მისი კანდიდატურა იხსნება განხილვიდან.

4. კანდიდატის მიერ განზრახ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატურა იხსნება განხილვიდან.

თავი XI

პროკურატურის თანამშრომლის ფიცი, ინტერესთა და თანამდებობრივი შეუთავსებლობა

მუხლი 44. პროკურატურის თანამშრომლის ფიცი

1. პროკურატურის თანამშრომელი თანამდებობაზე გამწესებისთანავე წერილობით დებს ფიცს: „მე (სახელი, გვარი) ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, კეთილსინდისიერად აღვასრულო საქართველოს პროკურატურის თანამშრომლის მოვალეობა და მისი აღსრულებისას დავემორჩილო მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს“.

2. ფიცის დადება შეიძლება რელიგიური ფიცის დადების გარეშეც. ფიცის დამდების მიერ ხელმოწერილი ფიცი ინახება მის პირად საქმეში.

მუხლი 45. ინტერესთა და თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. პროკურატურის თანამშრომლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა სახელმწიფო დაწესებულების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნებისმიერ თანამდებობასთან, ასევე სამეწარმეო ან სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობისა.

2. პროკურატურის თანამშრომელს უფლება აქვს, იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს ან/და შეთავსებით ეკავოს სხვა თანამდებობა პროკურატურის სისტემაში.

3. პროკურატურის თანამშრომელი (გარდა პროკურატურაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას.

4. პროკურატურის თანამშრომელს უფლება არა აქვს, გამოიყენოს თანამდებობა ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით და მიიღოს ეს სიკეთე.

5. პროკურატურის თანამშრომელს უფლება არა აქვს, იყოს რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი ან რწმუნებული, ან განახორციელოს წარმომადგენლობა ან დაცვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ამ ფიზიკური პირის მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერია ან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელია.

6. პროკურატურის თანამშრომელს (გარდა პროკურატურაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) ეკრძალება შეკრებაში მონაწილეობა, გაფიცვის მოწყობა ან გაფიცვაში მონაწილეობა.

თავი XII

საპროკურორო აქტები

მუხლი 46. საპროკურორო აქტების სისტემა

პროკურორი უფლებამოსილების განხორციელებისას, კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს შემდეგ საპროკურორო აქტებს:

ა) მოთხოვნა;

ბ) წარდგინება;

გ) პროტესტი;

დ) დადგენილება;

ე) თანხმობა;

ვ) მითითება;

ზ) საჩივარი.

მუხლი 47. მოთხოვნა

1. პროკურორს უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლება აქვს, მოითხოვოს:

ა) აუცილებელი დოკუმენტების, მასალების, საქმეების, მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა;

ბ) სპეციალისტის, ექსპერტის, თარჯიმნის გამოყოფა;

გ) ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ან სხვა სახის შემოწმების ჩატარება.

2. გამოთხოვილი ინფორმაცია პროკურორს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 10 დღისა, ამ ინფორმაციის რეჟიმის მიუხედავად.

3. დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია შეიძლება შემოწმდეს პროკურორის მოთხოვნით მათ სამყოფელ ადგილას, პროკურორის მიერ ან მისი დავალებით – სპეციალისტის, ექსპერტის ან სხვა პირის მიერ.

4. პროკურორის მოთხოვნით დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს მის მიერ მითითებულ ადგილას.

5. პროკურორი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოს გამოთხოვილ ინფორმაციაში მოცემული სახელმწიფო ან სხვა საიდუმლოების დაცვა.

6. აკრძალულია სასამართლოს კომპეტენციაში ჩარევა და რაიმე მასალის ან საქმის გამოთხოვა სასამართლოდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 48. წარდგინება

1. პროკურორს კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეაქვს წარდგინება კანონმდებლობის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად ამ კანონის 22-ე, 23-ე, 25-ე და 26-ე მუხლებში მითითებულ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებთან, რომლებიც ვალდებული არიან, 10 დღის ვადაში აცნობონ პროკურორს მიღებული ზომების შესახებ.

2. პროკურორს ეცნობება წარდგინების განხილვის თარიღი და მას აქვს განხილვაში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 49. პროტესტი

1. პროკურორი წერილობით პროტესტს წარადგენს ამ კანონის 25-ე და 26-ე მუხლებში მითითებულ პირთა აქტებისა და ქმედებების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.

2. პროტესტში პროკურორმა შეიძლება მოითხოვოს:

ა) უკანონო აქტის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება ან კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) უკანონო ქმედების შეწყვეტა;

გ) დარღვეული უფლების აღდგენა;

დ) კანონის დამრღვევის მიმართ პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიებების გამოყენება.

3. პროკურორს პროტესტი უკანონო აქტის გამო შეაქვს მის გამომცემ ან ზემდგომ ორგანოში. იმავე წესით ხდება თანამდებობის პირის უკანონო ქმედების გაპროტესტება.

4. პროკურორის პროტესტი განხილული უნდა იქნეს მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

5. პროტესტის განხილვის თარიღი უნდა ეცნობოს პროკურორს. მას უფლება აქვს, პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მხარი დაუჭიროს პროტესტს.

6. პროტესტი განხილვის დაწყებამდე შეიძლება გამოითხოვოს მისმა შემტანმა ან ზემდგომმა პროკურორმა.

7. ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს, პროტესტის განხილვის დაწყებამდე შეიტანოს მასში ცვლილებები ან შეცვალოს იგი ახალი პროტესტით.

მუხლი 50. დადგენილება

პროკურორს გამოაქვს დადგენილება კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და დადგენილი წესით.

მუხლი 51. თანხმობა

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურორი იძლევა წერილობით თანხმობას სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ქმედებებზე.

მუხლი 52. მითითება

პროკურორს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წერილობითი მითითება მისცეს გამოძიების ორგანოს, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა.

მუხლი 53. საჩივარი

1. პროკურორს უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) ზემდგომ სასამართლოში გაასაჩივროს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, როგორც მხარემ;

ბ) გაასაჩივროს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, როგორც მხარემ.

2. საჩივარი შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე შეიძლება გაითხოვოს მისმა შემტანმა ან ზემდგომმა პროკურორმა.

მუხლი 54. საპროკურორო აქტების გასაჩივრება

1. პროკურორის წარდგინება, პროტესტი, დადგენილება, მითითება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონით დადგენილი წესით ან ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან 10 დღის ვადაში, თუ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. გასაჩივრება არ აჩერებს საპროკურორო აქტების აღსრულებას, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კარი IV

საქმიანობის სხვა მიმართულებები და სახელმწიფო კონტროლი

თავი XIII

საორგანიზაციო საქმიანობა

მუხლი 55. ინფორმაციის მიღებისა და განთავსების ოფიციალური წყაროები

1. პროკურატურა იყენებს ინფორმაციის მიღების სატელეფონო, ელექტრონულ სერვისებს და ინფორმაციის დოკუმენტურად მიღების სისტემას.

2. პროკურატურა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად განთავსების ოფიციალურ წყაროდ იყენებს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელს.

მუხლი 56. ციფრულ-ელექტრონული სისტემები და სერვისები

1. პროკურატურა საქმიანობის ორგანიზებისთვის იყენებს ელექტრონულ სისტემებს და შიდა კომუნიკაციის ციფრულ-ელექტრონულ სერვისებს, რომლის მართვისა და უსაფრთხოების წესს და სტანდარტებს განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

2. პროკურატურა უზრუნველყოფს ციფრულ-ელექტრონულ სერვერებზე ინსტალირებული მონაცემთა ბაზის, კომპიუტერული ქსელის და პროგრამული მოდულების ადმინისტრირებას და მართვას.

მუხლი 57. არქივის მართვა

1. პროკურატურა დამოუკიდებლად უზრუნველყოფს საარქივო ფონდის (განურჩევლად მათი მატარებლის სახეობისა) წარმოებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. პროკურატურის საარქივო ფონდი შედგება პროკურატურის ორგანოებისა და სტრუქტურული დანაყოფების არქივებისაგან.

თავი XIV

საქმიანობის შეფასება და კადრების სარეზერვო სისტემა

მუხლი 58. საქმიანობის შეფასების წესი და პროცედურა

1. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, როგორც წესი, 2 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება შეფასებას, რომლის შედეგები არ არის საჯარო.

2. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი ფასდება ამ კანონით განსაზღვრული და გენერალური პროკურორის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად.

3. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

ა) საპროკურორო საქმიანობის/გამოძიების ხარისხის შეფასება;

ბ) პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დატვირთვა;

გ) ხელმძღვანელის შეფასება;

დ) წახალისება და დისციპლინური სახდელი.

4. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, რომლის შეფასების შედეგები ვერ აკმაყოფილებს კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს, ექვემდებარება პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შესაბამისობის გამოცდას. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შესაბამისობის გამოცდაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი ექვემდებარება რიგგარეშე შეფასებას გამოცდის ჩაბარებიდან 1 წლის განმავლობაში. ზედიზედ ორჯერ, შეფასების შედეგად კომპეტენციის მინიმალური ზღვრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი შეიძლება დათხოვნილ იქნეს თანამდებობიდან.

5. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის საქმიანობის შეფასებას ახორციელებენ გენერალური პროკურატურის უფლებამოსილი დანაყოფები.

6. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის საქმიანობის შეფასების წესსა და პროცედურებს ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 59. შემფასებლის საქმიანობაში ჩაურევლობა

დაუშვებელია შემფასებლის საქმიანობაში უკანონო ჩარევა, მასზე არამართლზომიერი ზემოქმედების განხორციელება.

მუხლი 60. შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი

1. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი უფლებამოსილია გაასაჩივროს შეფასების შედეგები გაცნობიდან 10 დღის ვადაში.

2. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი უფლებამოსილია გაეცნოს იმ მასალებს, რის საფუძველზეც შემფასებელმა განსაზღვრა მისი კომპეტენციის ზღვარი.

3. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის საჩივარს იხილავს დროებითი სათათბირო ორგანო – საპრეტენზიო საბჭო და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) აკმაყოფილებს საჩივარს და ცვლის ან აუქმებს შეფასების შედეგს. შეფასების შედეგის გაუქმების შემთხვევაში პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი 60 დღის ვადაში ექვემდებარება ხელახალ შეფასებას;

ბ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს შეფასების შედეგს.

4. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შესაძლებელია გასაჩივრდეს კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოში, რომელიც 2 თვის ვადაში ღებულობს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილებას;

ბ) აკმაყოფილებს საჩივარს და ცვლის საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილებას.

5. საჩივრის ავტორი და შემფასებელი უფლებამოსილია ახსნა-განმარტების მისაცემად დაესწროს საბჭოების მიერ საჩივრის განხილვის სხდომებს.

მუხლი 61. კადრების სარეზერვო სისტემა

1. პროკურატურა უზრუნველყოფს კადრების ერთწლიანი სარეზერვო სისტემის ფორმირებას, რომელშიც ჩაირიცხებიან:

ა) პირები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სტაჟირებას ან კონკურსს, მაგრამ არ დაინიშნებიან პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე;

ბ) პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, რომელიც შტატების შემცირების ან რეორგანიზაციის გამო გათავისუფლდება თანამდებობიდან.

2. კადრების სარეზერვო სისტემიდან ამორიცხვის საფუძვლებია:

ა) რეზერვში ყოფნის ვადის გასვლა;

ბ) პირადი განცხადება;

გ) შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა;

დ) ამ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

თავი XV

კარიერის მართვა და განვითარება

მუხლი 62. პროფესიული განვითარების მხარდაჭერა და კვალიფიკაციის ამაღლება

1. შიდაუწყებრივ დონეზე პროკურატურის თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებას და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს საქართველოს პროკურატურა.

2. პროკურატურის თანამშრომლები კვალიფიკაციას იმაღლებენ შესაბამის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში.

3. საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე საერთაშორისო პროგრამებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურატურის თანამშრომლები უფლებამოსილი არიან კვალიფიკაცია აიმაღლონ სხვა სახელმწიფოების სასწავლო დაწესებულებებში, სამართალდამცავ ორგანოებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

მუხლი 63. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდისა და პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შესაბამისობის გამოცდის ჩატარების წესი და პირობები

1. პროკურატურა უზრუნველყოფს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის და პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შესაბამისობის გამოცდის ჩატარებას.

2. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება:

ა) პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ სტაჟირების და კონკურსის კანდიდატთათვის, რომელთაც არ აქვთ ჩაბარებული ადვოკატთა ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა;

ბ) უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირთათვის.

3. პროკურორების/პროკურატურის გამომძიებლების შესაბამისობის გამოცდა ტარდება მათთვის, ვინც ვერ დააკმაყოფილებს შეფასების სისტემით განსაზღვრულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

4. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა და პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შესაბამისობის გამოცდა ტარდება ტესტური მეთოდით.

5. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება დასტურდება სერტიფიკატით.

6. გამოცდების ჩატარების წესს და პროგრამას ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 64. პრაქტიკის გავლის წესი და პირობები

1. პროკურატურის პრაქტიკანტად შეიძლება მიღებულ იქნეს ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს სამართალწარმოების ენას და აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება ან იურიდიული განათლების მიმღები სტუდენტია.

2. პროკურატურის პრაქტიკანტის პოზიცია არ არის ანაზღაურებადი და პირს არ ეთვლება შრომით სტაჟში.

3. პრაქტიკის გავლის წესს ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

თავი XVI

პროკურატურის საქმიანობის სხვა მიმართულებები

მუხლი 65. ბეჭედი, სამსახურებრივი მოწმობა და განმასხვავებელი ნიშნები

1. პროკურატურის ორგანოების ბეჭდის, ლოგოს, სამსახურებრივი მოწმობის და სამკერდე ნიშნის ფორმასა და გამოყენების წესს განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

2. პროკურატურის თანამშრომლის სამსახურებრივ მოწმობას გასცემს გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე.

მუხლი 66. მოქალაქეთა მიღებისა და კორესპონდენციის განხილვის პროცედურები

1. პროკურატურა კომპეტენციის ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებს, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას.

2. განცხადება და საჩივარი დანაშაულის შესახებ დაუყოვნებლივ განიხილება.

მუხლი 67. სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება

1. საქართველოს გენერალური პროკურორის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება უზრუნველყოფილია თანამდებობაზე მისი არჩევისთანავე.

2. პროკურატურის თანამშრომლის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების წესი რეგულირდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა აქტებით.

3. პროკურორს აქვს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის და ფარული საგამოძიებო მოქმედების ამსახველი დოკუმენტებისა და მასალების კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით განსაიდუმლოების უფლება.

თავი XVII

კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე და სახსრების ხარჯვაზე

მუხლი 68. საპარლამენტო კონტროლი

1. პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება პროკურატურის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენით.

2. პროკურატურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს გენერალური პროკურორი წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 მაისისა. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

3. საქართველოს გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. აღნიშნული მოთხოვნა უნდა შეიცავდეს განსახილველი

საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. სხდომაზე მოწვეულ გენერალურ პროკურორს, მის პირველ მოადგილეს ან მოადგილეს უფლება აქვს, არ ისაუბროს იმ საკითხების გარშემო, რომლებიც მისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი. აგრეთვე, გენერალურ პროკურორს, მის პირველ მოადგილეს ან მოადგილეს არ შეიძლება დაუსვან კითხვა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოთხოვნის შემთხვევაში გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე ვალდებულია ანგარიში წარმოადგინოს მოთხოვნიდან 2 კვირის ვადაში.

მუხლი 69. სასამართლო კონტროლი

პროკურატურის მიერ იმ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარება, რომლებიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 70. კონტროლი სახელმწიფო სახსრების გამოყენებასა და ხარჯვაზე

პროკურატურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების და სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

კარი V

ბიუჯეტი, ქონება და სახელმწიფო შესყიდვები

თავი XVIII

პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება

მუხლი 71. პროკურატურის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. პროკურატურის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით. პროკურატურის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ცალკე ორგანიზაციული კოდით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სახელმწიფო ბიუჯეტში პროკურატურისათვის განკუთვნილი ასიგნებების შემცირება წინა წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ გენერალური პროკურორის წინასწარი თანხმობით.

3. პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად.

4. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით პროკურატურის მიერ ამოღებული თანხები ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

5. საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლობითი ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ამ კანონით გათვალისწინებული საკითხების გარდა, პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება დარეგულირდეს გენერალური პროკურორის შესაბამისი აქტით.

თავი XIX

პროკურატურის ქონება და შესყიდვები

მუხლი 72. პროკურატურის ქონება

1. პროკურატურის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა.

2. პროკურატურა პასუხისმგებელია მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე.

3. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს მთავრობას პროკურატურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონების გადაცემის თაობაზე.

4. პროკურატურა უფლებამოსილია, ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონებით დროებით სარგებლობისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები.

მუხლი 73. სახელმწიფო შესყიდვების მართვა და ორგანიზება

1. პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება ცენტრალიზებულად, კანონმდებლობის შესაბამისად.

2. გადაწყვეტილებას სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების თაობაზე იღებს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

კარი VI

სოციალური და სამართლებრივი დაცვა და პასუხისმგებლობა

თავი XX

პროკურატურის თანამშრომელთა სამართლებრივი დაცვა და პასუხისმგებლობა

მუხლი 74. სამართლებრივი დაცვა

1. პროკურატურის თანამშრომელს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. პროკურატურის თანამშრომელი სამსახურებრივ საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესისა.

3. პროკურატურის თანამშრომლისათვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაში ხელის შეშლა, მისი ღირსების შელახვა, მის მიმართ მუქარა, წინააღმდეგობა, ძალადობა, მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ხელყოფა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. პროკურატურის თანამშრომლის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ხელყოფის შესახებ განცხადების ან ინფორმაციის მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები მათი პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების დასაცავად.

5. პროკურატურის თანამშრომელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლება აქვს, შეინახოს და ატაროს ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე ინდივიდუალური თავდაცვის სპეციალური საშუალებები.

6. გენერალური პროკურორი განსაზღვრავს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესს, ასევე პროკურატურის იმ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ნუსხას, რომელთაც უფლება აქვთ, შეინახონ და ატარონ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი.

7. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის

სტატუსი მიანიჭოს პროკურატურის თანამშრომლის საკუთრებაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღს და მიანიჭოს მას ტარების უფლება.

მუხლი 75. საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

პროკურატურის თანამშრომლის საქმიანობაში ჩარევა თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების, მათი წარმომადგენლების ან სხვა პირების მიერ, რომლებიც კანონით არ არიან უფლებამოსილი, ჩაერიონ პროკურატურის თანამშრომლის საქმიანობაში ან ნებისმიერი ფორმით მოახდინონ მასზე ზემოქმედება, აგრეთვე პროკურატურის თანამშრომლის საქმიანობისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

მუხლი 76. პროკურატურის თანამშრომლის პასუხისმგებლობა

1. პროკურატურის თანამშრომელი დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხს აგებს საერთო წესით.

2. პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის ან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს გენერალური პროკურორი.

3. პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულს, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, იძიებს საქართველოს პროკურატურა, გარდა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გამონაკლისისა.

4. დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პროკურატურის თანამშრომელი თავსდება ან სასჯელს იხდის სხვა სპეცკონტინგენტისაგან იზოლირებულად.

5. პროკურატურის თანამშრომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში უფლებამოსილების შეჩერების საკითხს წყვეტს გენერალური პროკურორი.

6. პროკურატურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის, შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი.

7. დისციპლინური გადაცდომა იყოფა კატეგორიებად:

ა) მსუბუქი გადაცდომა;

ბ) საშუალო გადაცდომა;

გ) მძიმე გადაცდომა.

8. პროკურატურის თანამშრომლის მიერ:

ა) კანონით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ გადაცდომად;

ბ) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ ან საშუალო გადაცდომად;

გ) პროკურატურის თანამშრომლისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა ფასდება მძიმე გადაცდომად;

დ) კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა ფასდება მძიმე გადაცდომად.

9. დისციპლინური სახდელის სახეებია:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

დ) უფრო დაბალ რანგზე გადაყვანა;

ე) დაქვეითება;

ვ) დათხოვნა.

10. პროკურატურის თანამშრომლის მიერ:

ა) კანონით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ გადაცდომად და დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება შენიშვნა ან საყვედური;

ბ) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა, გარემოებათა გათვალისწინებით, ფასდება მსუბუქ ან საშუალო გადაცდომად და დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება შენიშვნა, საყვედური ან თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

გ) შეუფერებელი საქციელის ჩადენა ფასდება მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება საყვედური, უფრო დაბალ რანგზე გადაყვანა, თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით ან პროკურატურიდან დათხოვნა;

დ) კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა მიიჩნევა მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება საყვედური, უფრო დაბალ რანგზე გადაყვანა, თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით ან პროკურატურიდან დათხოვნა.

11. პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილი ერთი და იმავე გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

12. დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე ახალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის მე-10 პუნქტში მითითებულზე უფრო მძიმე დისციპლინური სახდელი.

13. პროკურატურის თანამშრომლის მიერ ორი ან მეტი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დისციპლინური სახდელის სახედ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროკურატურიდან დათხოვნა.

14. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს პროკურატურის თანამშრომლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი.

15. დისციპლინური სახდელი გამოიყენება გადაცდომის ფაქტის დადგენის (აღმოჩენის) დღიდან არაუგვიანეს 1 წლისა. ამ ვადაში არ შედის პროკურატურის თანამშრომლის ავადმყოფობისა და შვებულებაში ყოფნის დრო. დისციპლინური სახდელი არ გამოიყენება, თუ გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 3 წელი.

16. პროკურატურის თანამშრომლის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პროკურატურიდან მისი დათხოვნის საკითხს წყვეტს გენერალური პროკურორი, ამ ქმედების ჩადენიდან გასული დროის მიუხედავად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

17. დისციპლინური სახდელის დადება ხდება გენერალური პროკურორის ბრძანებით, გარდა ამ

კანონით დადგენილი იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ გადაწყვეტილებას იღებს საპროკურორო საბჭო. გენერალური პროკურორის ბრძანება/საპროკურორო საბჭოს განკარგულება უნდა გაეცნოს პროკურატურის იმ თანამშრომელს, რომელსაც დისციპლინური სახდელი დაედო. დისციპლინური სახდელის დადების შესახებ გენერალური პროკურორის ბრძანება/საპროკურორო საბჭოს განკარგულება ინახება პროკურატურის თანამშრომლის პირად საქმეში.

18. პროკურატურის თანამშრომელი დისციპლინური სახდელის არმქონედ ითვლება, თუ სახდელის დადებიდან გასულია 1 წელი და მას არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი.

19. დისციპლინური სახდელის სახედ დაქვეითების ან უფრო დაბალ რანგზე გადაყვანის გამოყენების შემთხვევაში სახდელის მოხდის ვადის გასვლა არ იწვევს სახდელის დადებამდე არსებული თანამდებობრივი მდგომარეობისა და რანგის აღდგენას.

20. დისციპლინური სახდელის დადების შესახებ გენერალური პროკურორის ბრძანება/საპროკურორო საბჭოს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ბრძანების/განკარგულების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

21. დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ბრძანების/განკარგულების გასაჩივრება არ იწვევს გამოყენებული სახდელის აღსრულების შეჩერებას.

22. სახდელდადებული პროკურატურის თანამშრომლის მიმართ არ გამოიყენება წახალისების ღონისძიებები, გარდა ამ კანონის 78-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებისა.

23. სახდელდადებულ პროკურატურის თანამშრომელს:

ა) არ ენიჭება მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდება;

ბ) არ ემატება რანგი ანდა კლასი;

გ) არ მიეცემა სახელფასო დანამატი.

24. დაუშვებელია სახდელდადებული პროკურატურის თანამშრომლის დაწინაურება.

25. პროკურატურის თანამშრომელს დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადამდე მოეხსნას ამ კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დისციპლინური სახდელი იხსნება შესაბამისი ბრძანებით/განკარგულებით. ეს ბრძანება/განკარგულება უნდა გაეცნოს პროკურატურის იმ თანამშრომელს, რომელსაც დისციპლინური სახდელი დაედო.

26. დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნის შესახებ ბრძანება/განკარგულება ინახება პროკურატურის თანამშრომლის პირად საქმეში.

მუხლი 77. დისციპლინური წარმოება

1. პროკურატურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის, შეუფერებელი საქციელის ჩადენის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია (შემდგომ – გენერალური ინსპექცია) ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას.

2. გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია გენერალური პროკურორის წინაშე.

3. სამსახურებრივი შემოწმების საფუძველი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ.

4. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია:

ა) მოიწვიოს პროკურატურის თანამშრომელი ან ნებისმიერი პირი და მიიღოს ახსნა-განმარტება შესამოწმებელი ფაქტის ირგვლივ;

ბ) განუმარტოს პირს მისი უფლება, უარი თქვას ახსნა-განმარტების მიცემაზე;

გ) გამოითხოვოს საკითხის შესასწავლად საჭირო ყველა მასალა, დოკუმენტი ან ინფორმაცია;

დ) სპეციალური ცოდნის საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს და მიიღოს კონსულტაცია სპეციალისტისგან;

ე) შეადგინოს დასკვნა სამსახურებრივი შემოწმების თაობაზე;

ვ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

5. დასკვნა სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე წარედგინება გენერალურ პროკურორს.

6. გენერალური პროკურორი პროკურატურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე დასკვნას განსახილველად გადასცემს კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს.

7. პროკურატურის თანამშრომელი, რომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხიც განიხილება, უფლებამოსილია ახსნა-განმარტების მისაცემად დაესწროს საბჭოს სხდომას.

8. საბჭოს გადაწყვეტილებით და დამსწრე პირთა თანხმობით შესაძლებელია საბჭოს სხდომის აუდიო/ვიდეოჩაწერა.

9. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. გენერალური პროკურორი კენჭისყრაში არ მონაწილეობს. საბჭოს წევრი უფლებამოსილია თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

10. საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა, წარედგინება გენერალურ პროკურორს.

მუხლი 78. წახალისების ფორმები

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და სხვა მიღწევებისათვის პროკურატურის თანამშრომლის წასახალისებლად გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) 10 კალენდარული დღის ოდენობით დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემა;

დ) მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;

ე) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

ვ) ცეცხლსასროლი იარაღის ჯილდოდ გადაცემა;

ზ) „პროკურატურის საპატიო თანამშრომლის“ წოდების მინიჭება და შესაბამისი სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;

თ) უმაღლეს სახელმწიფო სპეციალურ წოდებაზე წარდგენა;

ი) საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

მუხლი 79. რეორგანიზაცია

1. უკეთესი მმართველობის უზრუნველსაყოფად რეორგანიზაციის გადაწყვეტილებას იღებს და რეორგანიზაციის წესს ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

2. რეორგანიზაცია არ შეიძლება გახდეს პროკურატურის თანამშრომლის პროკურატურიდან დათხოვნის საფუძველი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი XXI

პროკურატურის თანამშრომლის სოციალური დაცვა

მუხლი 80. სოციალური დაცვა

1. პროკურატურის თანამშრომლის სოციალური დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით.

2. პროკურატურის თანამშრომლის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

3. პროკურატურის თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა, ასევე მისი ოჯახის წევრის (მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი/ნაშვილები) ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა, რომელიც ფინანსდება პროკურატურის მიერ, პროკურატურისათვის განსაზღვრული ასიგნებებიდან, სადაზღვევო ორგანიზაციასთან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულებით ანაზღაურებას არ ექვემდებარება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, ანაზღაურებს პროკურატურა.

5. პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს მუდმივი საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებულ იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფომ შესაძლებელია უზრუნველყოს აუცილებელი საცხოვრებელი ფართით ანდა აუნაზღაუროს საამისოდ საჭირო ხარჯები.

6. პროკურატურის თანამშრომელი სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 30 კალენდარული დღის ოდენობით.

7. პროკურატურის თანამშრომელს უფლება აქვს, პროკურატურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის 5 წელიწადში ერთხელ ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არაუმეტეს 3 თვისა, ან/და შვებულებით ანაზღაურების გარეშე არაუმეტეს 1 წლისა.

8. პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი და მრჩეველი სარგებლობენ შესაბამისი დონის სასამართლოს მოსამართლის ყველა შეღავათით, ხოლო გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები – შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეებისათვის გათვალისწინებული შეღავათებით.

9. პროკურატურის თანამშრომლის საწვავით, ავტომანქანით და სხვა შეღავათით უზრუნველყოფის წესს ადგენს გენერალური პროკურორი.

10. პროკურატურის თანამშრომელს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 81. შრომის ანაზღაურება

1. პროკურატურის თანამშრომლის (გარდა პროკურორისა/ პროკურატურის გამომძიებლისა) შრომის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, სახელფასო დანამატს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საკლასო დანამატს და ფულად ჯილდოს.

2. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შრომის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, სახელფასო დანამატს, ფულად ჯილდოს და შეიძლება მოიცავდეს წოდებისათვის დადგენილ სარგოს და წელთა ნამსახურობის დანამატს, რომელთა ოდენობას განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

3. პროკურატურის თანამშრომლის სახელფასო დანამატის ოდენობას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების, ასევე განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, განსაზღვრავს გენერალური პროკურორი გამოყოფილი შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში.

4. პროკურატურის თანამშრომლის (გარდა პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლისა) სახელფასო დანამატი გაიცემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად.

5. პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პროკურატურის თანამშრომლის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან (სხვა ფუნქციების შესრულება), ეძლევა არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი პროკურატურის თანამშრომლის თანამდებობრივი სარგო მისი შემცვლელი პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, შემცვლელ პირს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო. პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პროკურატურის თანამშრომლის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე (დამატებითი ფუნქციების შესრულება), თავისი თანამდებობრივი სარგოს გარდა, ეძლევა სახელფასო დანამატი.

6. დაუშვებელია პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობრივი სარგოს შემცირება მისი უფლებამოსილების განმავლობაში, გარდა ამ კანონის 76-ე მუხლის მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის (გარდა პროკურატურის სტაჟიორისა) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა არ შეიძლება იყოს საბაზო თანამდებობრივი სარგოს 1.2 კოეფიციენტის ნამრავლზე ნაკლები.

მუხლი 82. დახმარება დაღუპვის ან დასახიჩრების შემთხვევაში

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მშობლები, მეუღლე, შვილი/ნაშვილები ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში – მემკვიდრე) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 15 000 ლარის ოდენობით.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის თანამშრომლის სხეულის დაზიანებისას ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესებისას, რის შედეგადაც იგი აღიარებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად, ან დასახიჩრებისას ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 7 000 ლარის ოდენობით. კომპენსაციის დანიშვნის წესი რეგულირდება ამ კანონის მე-80 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესით.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პროკურორზე/პროკურატურის გამომძიებელზე თავდასხმისას მისი დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მშობლები, მეუღლე, შვილი/ნაშვილები ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში – მემკვიდრე) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 100 000 ლარის ოდენობით.

4. ზიანი, რომელიც მიადგა პროკურატურის თანამშრომელს (მისი ოჯახის წევრს) სამსახურებრივი

მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონით დადგენილი წესით, რომლის მოთხოვნის უფლებაც პროკურატურის თანამშრომელს (მისი ოჯახის წევრს) აქვს ზიანის მიყენებიდან 1 წლის განმავლობაში.

მუხლი 83. სახელმწიფო სპეციალური წოდებები და მინიჭების წესი

1. პროკურორს, პროკურატურის გამომძიებელს და პროკურატურის პროფესიულ საჯარო მოხელეს დაკავებული თანამდებობისათვის, კვალიფიკაციისათვის, სამუშაო სტაჟისათვის, დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის ან განსაკუთრებული დამსახურებისათვის ენიჭებათ სახელმწიფო სპეციალური წოდებები.

2. სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭებისა და ჩამორთმევის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლის სახელმწიფო სპეციალური წოდებები გათანაბრებულია „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უწყებების მოსამსახურეების სახელმწიფო სპეციალურ წოდებებთან.

კარი VII

დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

თავი XXII

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 84. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს პროკურატურა რეორგანიზებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ორგანოდ – საქართველოს პროკურატურად.

2. საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს პროკურატურის უფლებამონაცვლე.

3. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს პროკურატურის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულება.

4. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

6. ამ კანონის ამოქმედების დღისათვის საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს პროკურატურის საბიუჯეტო ასიგნებათა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პროკურატურისათვის გადაცემა.

7. ამ კანონის ამოქმედების დღისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს პროკურატურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი (მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს პროკურატურის ბალანსზე რიცხული) ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პროკურატურისათვის გადაცემა.

8. ამ კანონის ამოქმედებისთანავე გენერალური პროკურორის უფლებამოსილებას იძენს ამ კანონის ამოქმედების დროისათვის განწესებული მთავარი პროკურორი დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

9. იუსტიციის მინისტრი ინარჩუნებს საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას ახალი თავმჯდომარის არჩევამდე, რომელიც უნდა შეირჩეს ამ კანონით დადგენილი წესით, ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

10. ამ კანონის ამოქმედებისთანავე საპროკურორო საბჭოს წევრები ინარჩუნებენ უფლებამოსილებას საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადით.

11. ამ კანონის ამოქმედება არ იწვევს პროკურატურის მუშაკების უფლებამოსილების შეწყვეტას, ისინი იწოდებიან პროკურატურის თანამშრომლებად და გადაინიშნებიან შესაბამის თანამდებობებზე.

12. 2019 წლის 1 ნოემბრამდე პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულს, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, იძიებს საქართველოს პროკურატურა.

საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის ორგანული კანონი №4257 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის ორგანული კანონი №4902 – ვებგვერდი, 28.06.2019წ.

თავი XXIII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 85. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

1^1. გენერალური პროკურორი ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ დევნას სახელმწიფო ინსპექტორის მიმართ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს 2019 წლის 1 ივლისიდან.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №27, 27.10.2008, მუხ. 170).

საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის ორგანული კანონი №4257 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

30 ნოემბერი 2018 წ.

N3794-Iს